განკარგულება - N 26.609.658
6 / აპრილი / 2026 წ.

„ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების ზონალური პარკირების ადგილების განსაზღვრის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 19 ივნისის №19.670.876 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. ,,ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების ზონალური პარკირების ადგილების განსაზღვრის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 19 ივნისის №19.670.876 განკარგულების დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ (ს/ნ 205393689) უზრუნველყოს ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული ზონალური პარკირების ადგილების მოქმედი სამართლებრივი აქტების შესაბამისად აღჭურვა საგზაო ნიშნებით და საგზაო მონიშვნებით.

3. დაევალოთ:

ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს - „საზოგადოებასთან კომუნიკაციის სააგენტოს" (ს/ნ 405255165) ამ განკარგულების მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გავრცელება;

ბ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს - „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს" (ს/ნ 405026877) ამ განკარგულების ელექტრონულ მისამართზე: www.parking.tbilisi.gov.ge განთავსება.

4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერი) გიორგი ტყემალაძეს.

5. ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი — კახა კალაძე